დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი

შეფასების თარიღ(ებ)ი 23, 24, 25 აგვისტო, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი 14.09.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	**შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შპს**
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**212807550**

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**იმერეთი, ქუთაისი** **ბათუმი** (სკოლის ფილიალი)
იურიდიული მისამართი	**ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გ.№20**
ფაქტობრივი მისამართი	**ქუთაისი დ. აღმაშენებლის გ. №20** **ბათუმი, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30** (ბათუმის სკოლის ლოკაცია)
საფოსტო ინდექსი	**ქუთაისი 4600** **ბათუმი 6010**
დაწესებულების ვებ-გვერდი	**www.schoolprogress.ge**
დაწესებულების ელ-ფოსტა	**gaschoolprogressinfo@gmail.com**
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**(995 431)25 25 09**
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**ნინო ჩიკვაშვილი**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**599 90 80 41**
ელ-ფოსტა	**nina.chikvashvili@schoolprogress.ge**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება MES 7 22 0000895385
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2022 წლის 23,24 და 25 აგვისტო
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ნანა ედიშერაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

წევრი (სახელი, გვარი)	ლელა ფიცხელაური
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	***საგანმანათლებლო პროგრამები***	*ხარვეზი არ გამოვლენილა*
ქვესტანდარტი		
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	*ხარვეზი არ გამოვლენილა*
ქვესტანდარტი		
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	*ხარვეზი არ გამოვლენილა*
ქვესტანდარტი		

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი		
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	სტანდარტის უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია, სწავლის დაწყებამდე ბათუმის ლოკაციაზე უზრუნველყოს დაწესებულების ექსპლოატაციაში მიღება.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	სკოლას მიეცა რეკომენდაცია ბათუმის ლოკაციაზე მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის 25 სთ-მდე შემცირებასთან დაკავშირებით.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	შპს ქართულ - ამერიკული სკოლა პროგრესი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო პროგრამებში და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციებში. მაგალითად, ბოლო პერიოდში სკოლა აქტიურად მონაწილეობს ათასწლეულის და ინოვაციების კონკურსებში და აქვს განსაკუთრებული წარმატებები, რის ფარგლებშიც რამოდენიმე მოსწავლე იმყოფებოდა NACA-ში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ქართულ-ამერიკულმა სკოლა პროგრესმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების College Board -ის პროგრამების აკრედიტაცია/ავტორიზაცია და მოსწავლეებს სთავაზობს აკრედიტირებულ ინგლისურენოვან პროგრამებს; შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესს ასევე მინიჭებული აქვს ამერიკული საერთაშორისო სკოლის (American International School) დაწყებითი და საბაზო საფეხურის (I-IX კლ.), ასევე საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით მრავალფეროვან სასწავლო საგნებს როგორიცაა: წიგნიერება, მედიაწიგნიერება, მომავლის პროფესიები, ბიზნეს უნარები, ეკონომიკა, STEM და სხვა. მოცემული პროგრამების კურიკულუმები დეტალურადაა გაწერილი და ნათლად იკვეთება მათი ძლიერი მხარეები. მოცემული პროგრამები მოსწავლეებს ეხმარება აღმოაჩინონ საკუთარი ძლიერი მხარეები. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს PBL მოდელით სწავლება და განხორციელებულია მრავალფეროვანი სასწავლო-სოციალური პროექტები. სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებულად აგრძელებენ სწავლას როგორც ქვეყნის შიგნით წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში, ისე ევროპის უნივერსიტეტებში. სკოლის ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად წაახალისოს მოსწავლეები და სთავაზობს დაფინანსებას უცხოეთში სწავლის პროგრამებზე.

დაწესებულების მისია	შპს ქართულ- ამერიკული სკოლა „პროგრესის“ მისიაა შეუქმნას თითოეულ მოსწავლეს უსაფრთხო და მზრუნველი გარემო, მისცეს შესაძლებლობა მიაღწიოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს, ასწავლოს მათ განსხვავებული აზრისა და კულტურის პატივისცემა, ხელი შეუწყოს შეითვისოს და საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს დასავლური ღირებულებები და ფასეულობები. ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი არსებობს, რათა მისცეს მოსწავლეებს განათლება, რომელიც შთააგონებს მათ, რომ თითოეულ მოსწავლეს შეუძლია იყოს წარმატებული და თავისი სიტყვა თქვას სწრაფად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ცვალებად საზოგადოებაში. სასკოლო საზოგადოება მოწოდებულია აღზარდოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული ფასეულობების მომხრე, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, მოტივირებული, კონკურენტუნარიანი, პროგრესულად მოაზროვნე თაობა, რომელიც მზად იქნება უპასუხოს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	<u>სკოლას წინა ვიზიტის პერიოდში 2017 წელს, არ მიუღია რეკომენდაცია.</u> <u>2019 წელს სკოლაში განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი, რის ფარგლებშიც გამოიკვეთა რამდენიმე დარღვევა და სკოლას მიეცა რეკომენდაცია:</u> 1.3. სკოლამ ისგ-ს შედგენისას უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის საჭიროებები, გონივრულად განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ვადები, ასევე შეიმუშაოს მეთოდოლოგია იმის შესამოწმებლად, შეძლო თუ არა მოსწავლემ ისგ-ით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. 1.4. სკოლამ გაითვალისწინოს ესგ-ს მოთხოვნები და 1-4 კლასებში მოსწავლეები შეაფასოს მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით, რეიტინგული წერები ქმნის კონკურენტულ გარემოს და ხდება მოსწავლეთა შედეგების შედარება. ასევე, სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი შემაჯამებელი დავალებები და შესაბამისი შეფასების ფორმები. 2.1.გ) სკოლამ სპორტის პროგრამა შეადგინოს ესგ-ს შესაბამისად, სპორტული დარბაზი აღჭურვოს ისე, რომ შესაძლებელი იყოს სასკოლო სასწავლო გეგმის სრულად განხორციელება და ყველა მოსწავლეს მიეცეს გაკვეთილზე ჩართულობის შესაძლებლობა. 2.8. 6 წლიანი და 1 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმები არ მოდის შესაბამისობაში, ზოგადი სახისაა და არ იძლევა მონიტორინგის პროცესების განხორციელების საშუალებას. 2.9. არ ხდება შემოსული კორესპონდენციების სრულად აღრიცხვა, საქმისწარმოების ჟურნალები არ არის ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული. არასწორადაა აღრიცხული მოსწავლეთა მოძრაობა. არასრულად არის შევსებული მოსწავლეთა პირადი საქმეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	3.4. მასწავლებლებთან და პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებებში სკოლამ გაითვალისწინოს შრომის კოდექსის მოთხოვნები, როგორიცაა ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი. მონიტორინგის შედეგად მიცემული რეკომენდაციები შპს ქართულ-ამერიკულმა სკოლა პროგრესმა მაქსიმალურად გაითვალისწინა და მიმდინარე ვიზიტის დროს აღნიშნული ხარვეზები აღარ დაფიქსირებულა.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: სულ-1600 ქუთაისის ფილიალი 800 ბათუმის ფილიალი 800	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესი წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ფუნქციონირებს ორ ლოკაციაზე, ქუთაისსა და ბათუმში. სკოლა ორივე ლოკაციაზე ხელმძღვანელობს საერთო სასკოლო სასწავლო გეგმით. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესმა წარმოადგინა გასული 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაც და 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტიც. ორივე დოკუმენტი შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე. მოცემულ დასკვნაში ვიხელმძღვანელეთ 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი წარმოდგენს ერთიან დოკუმენტს, სადაც თითოეული შემადგენელი ნაწილი მკაფიოდ და გარკვევითაა გაწერილი, სარჩევის, სათაურების, ქვეთავებისა და დანომრილი გვერდების მიხედვით მარტივია დოკუმენტში ნავიგაცია და სასწავლო გეგმის თავისებურებებში გარკვევა. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან: • შესავალი; • ზოგადი ინფორმაცია; • ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია და ხედვა, სკოლის საერთო კულტურა; • სწავლისა და სწავლების ძირითადი პრინციპები და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება: ზოგადი განათლების საფეხურების ამოცანები; • გაკვეთილების დაწყება -დამთავრების გრაფიკი; • 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი; • დისტანციური სწავლება; • სასკოლო საათობრივი ბადე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• საგნობრივი კათედრები; • სადამრიგებლო პროგრამა; • საგანმანათლებლო რესურსები: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა; დამატებითი სახელმძღვანელოები ინგლისურ ენაში; AP პროგრამის სახელმძღვანელოები; • ინკლუზიური განათლება: ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება; • შეფასების სისტემა, შეფასების მიზნები, პრინციპები და მიდგომები: შეფასების სტრატეგიები, შემაჯამებელი წერილობითი შეფასება, საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი კომპონენტები, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები, ქულების გამოანგარიშების წესი; • კლასისა და საფეხურის დაძლევა, გამოცდის ტიპები, მოსწავლეების აკადემიური მიღწევების აღიარება, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური შეფასების წესი; • ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები: მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა; • უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების თავისებურებანი; • გაღრმავებული სწავლება; • დისციპლინა; • მოსწავლეთა ჩართულობა; • აქცენტი პიროვნული ღირსებების განვითარებაზე; • მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მართვა; • სავალდებულო, არჩევითი და ფაკულტატური საგნები; • ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/ გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; • სასწავლო ექსკურსიები და მათი როლი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• უსაფრთხო სასკოლო გარემო; • სწავლა- სწავლების მონიტორინგი; • პედაგოგთა მუშაობის შეფასება; • შიდა სასკოლო მონიტორინგი; • სასკოლო სასწავლო გეგმის სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის გაცნობის წესები; • დასკვნითი დებულება. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტს ახლავს შემდეგი დანართები: დანართი 1. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; დანართი 2. ადმინისტრირების წესი დისტანციური სწავლების მოდელის განხორციელების შესახებ ; დანართი 3. საგაკვეთილო ცხრილი ; დანართი 4. კათედრის დებულება და კათედრის სამუშაო გეგმები ; დანართი 5. სადამრიგებლო პროგრამები ; დანართი 6. მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; დანართი 7. შეფასების რუბრიკები; დანართი 8. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმის ნიმუში; დანართი 9. მასწავლებელთა მორიგეობის სია ; დანართი10.საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დოკუმენტი, კოვიდრეგულაციების სამოქმედო გეგმა; დანართი11.არაფორმალური განათლება, დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამები, კლუბების და წრეების დებულებები ; დანართი12. კითხვარები (მასწავლებლის, მოსწავლის, მშობლის, სკოლის შეფასების, თვითშეფასების; დანართი 13. ელექტრონული პორტფოლიოს შეფასება, პროფესიული განვითარების გეგმა; დანართი 14. სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები; სასკოლო სასწავლო გეგმას სკოლის გენერალურ დირექტორთან ერთად შეიმუშავებს და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სკოლის მისია ეფუძნება იმ ხედვებს, რომელზედაც თანხმდებიან სასკოლო საზოგადოების წევრები _ სკოლის ადმინისტრაცია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები. სკოლას წარმოდგენილი აქვს სწავლების თითოეული საფეხურის მისიაც. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი ძირითადად მიმდინარეობს ქართულ ენაზე სამ საფეხურად: • დაწყებით (I-VI კლასები), • საბაზო (VII-IX კლასები), • საშუალო (X-XII კლასები). სკოლის ამერიკული საერთაშორისო სკოლის (American International School) აკრედიტირებულ დაწყებით-საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. თითოეულ კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 18 მოსწავლით. სკოლაში მიმდინარეობს ინგლისურისა და მათემატიკის გაძლიერებული სწავლება. სასწავლო კვირა ექვსდღიანია. შაბათს სწავლობენ მხოლოდ საშუალო საფეხურის კლასები (ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამის IX-XII კლასები და ქართულენოვანი პროგრამების XI, XII კლასები). I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი; II კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობა 40 წუთი III – XII კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 45 წუთი; I-IV კლასის მოსწავლეთათვის გათვალისწინებულია სრულფასოვანი კვება. გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა. გაკვეთილის ხანგრძლივობა დისტანციური სწავლების დროს დაწყებით საფეხურზე არის 25 წთ, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე 35 წთ. მეორე და მესამე გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობაა 10 წთ, მესამე და მეოთხე გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობაა 15 წთ, ხოლო მეშვიდე და მერვე გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა შეადგენს 10 წუთს. დანარჩენი შესვენებები 5 წუთიანია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები. სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების თარიღები და არდადეგების დრო და ხანგრძლივობა განისაზღვრება კანონმდებლობით. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. (გამონაკლისია ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის IX-XII კლასები და ქართულენოვანი პროგრამების XI, XII კლასები, რომლებიც სწავლობენ მე-6 დღესაც, შაბათს). აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია კვირაში ექვსდღიანი სწავლება სხვა კლასებისთვისაც. კერძოდ, ექვსდღიანი სწავლება დასაშვებია, თუ: ა) სკოლა გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას; ბ) გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები. (მაგ. ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე) 2023-2023 სასწავლო წლის დაწყების თარიღია: 2023 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების - 2023 წლის 15 ივნისი, გარდა I და XII კლასისა; შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესის ბათუმის ლოკაციაზე სარემონტო სამუშაოები სრულდება 2022 წლის 26 სექტემბერს. სკოლამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნილი წერილი N04/195 – 15/08/2022, ბათუმის ლოკაციაზე სწავლის დაწყების 2022 წლის 10 ოქტომბრამდე გადავადების თხოვნასთან დაკავშირებით. სკოლა განმარტავს, რომ აღნიშნული ცვლილება არ გამოიწვევს მოსწავლეთა ინტერესების დაზიანებას და აღნიშნულ პერიოდში გაცდენილი საგაკვეთილო საათები ანაზღაურდება შაბათი დღეების ხარჯზე. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში დეტალურად არის გაწერილი დისტანციური სწავლის მახასიათებლები, წესები და რეგულაციები. დისტანციური სწავლება განხორციელდება სინქრონული ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით. სკოლამ პანდემიის დროს ინფორმაციის ეფექტიანად გავრცელებისათვის და საკუთარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სპეციფიკიდან გამომდინარე განისაზღვრა ინფორმაციის მიწოდების ერთი ან რამდენიმე წყარო (ელექტრონული ფოსტა, დისტანციური შეხვედრებისთვის ხელსაყრელი პლატფორმა -ZOOM, edupage.org.); დისტანციური სწავლების შემთხვევაში სკოლას შედგენილი აქვს საგაკვეთილო ცხრილი თითოეული საკლასო ჯგუფისთვის თითოეულ საგანში სკოლა უზრუნველყოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობის გამოყენებას, რათა არც ერთი მოსწავლე არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, ან არ ჩამორჩეს თანაკლასელებს სწავლაში. გაკვეთილების ცხრილი, შედგენილია სკოლის საათობრივი ბადის შესაბამისად. ეროვნული სასწავლო გეგმით რეკომენდებული ერთი კლასისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის ფარგლებში, ჯამური საათობრივი დატვირთვისთვის 25% გადანაწილებულია საგნებს შორის ინგლისურის სწავლების გაძლიერების მიზნით. სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები ერთიანდება 8 საგნობრივ ჯგუფში: 1. სახელმწიფო ენის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები; 2. მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკისა და ისტ-ის მასწავლებლები; 3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა - ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებლები; 4. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა - მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები; 5. ინგლისური ენის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენის მასწავლებლები; 6. მეორე უცხოური ენების კათედრა - რუსულისა და გერმანულის მასწავლებლები; 7. ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკისა და სპორტის მასწავლებლები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	8. დაწყებითი საფეხურის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან I-IV კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლები. სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს. წარმოდგენილია კათედრების, კათედრის ხელმძღვანელის ფუნქციები, კათედრის მუშაობის მახასიათებლები. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს კათედრების დებულება. მოცემულ დებულებაში ფიქსირდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს 6 კათედრა. ვიზიტის პერიოდში სკოლამ ახსნა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი და სკოლაში ფუნქციონირებდა 8 კათედრა. სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე შესაბამისობაში მოიყვანა ეს დოკუმენტი სასკოლო სასწავლო გეგმასთან. წარმოდგენილია ასევე შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა კლასების მიხედვით. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილია დამატებითი სახელმძღვანელოების ჩამონათვალი კათედრებისა და საგნების მიხედვით, ასევე ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის წიგნების ჩამონათვალი. მყარი და დინამიური ცოდნის მისაცემად სკოლა უზრუნველყოფს გაღრმავებულ სწავლებას, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას და საერთო ასპექტების დამუშავებას. ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში გაძლიერებულად ისწავლება ინგლისური ენა. საგნის სწავლების საათობრივი ბადე განსხვავდება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი საათობრივი ბადისგან. მაგალითად, პირველ კლასში ინგლისურ ენას ეთმობა 8 სთ, ხოლო მომდევნო კლასებში 6-7 სთ. ინგლისური ენის გაძლიერებულად სწავლების მიზნები გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ეროვნული სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანებისაგან. საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ევროსაბჭოს მიერ განსაზღვრული ენის ფლობის B1და B2 (ზღვრული განვითარებული) დონის დაძლევა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის (PET, TOEFL, IELTS, FCE) მოპოვება. 2019 წელს ქართულ-ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესს ამერიკულმა სააკრედიტაციო სააგენტომ "AdvancED" მიანიჭა აკრედიტაცია. ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი საქართველოში და ამიერკავკასიაში მეორე სკოლაა, რომელმაც მიიღო "AdvancED" -ის ამერიკული აკრედიტაცია და უფლებამოსილია გასცეს ამერიკის საშუალო სკოლის დიპლომი."AdvancED" რეგიონალური სააკრედიტაციო ორგანიზაციაა, რომელიც აღიარებულია ამერიკის განათლების სახელმწიფო დეპარტამენტისა და უმაღლესი განათლების საბჭოს მიერ. სააგენტო აკრედიტაციას ანიჭებს საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებს 80-ზე მეტ ქვეყანაში. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ქართული ატესტატის გვერდით მოიპოვონ ამერიკული საშუალო სკოლის დიპლომი. საათობრივი ბადის განსხვავებული მოდელი სკოლამ გასულ 2021-2022 სასწავლო წელს შეათანხმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ ახალ 2022-2023 სასწავლო წელსაც განხორციელდება საათობრივი ბადის შეათანხმება. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის სასკოლო სასწავლო გეგმით შესაძლებელი იქნება სკოლის მისიის მიღწევა და სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის მისია; • შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის დანართები; • შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის MES 3 21 0001088864 - 15/10/2021 კორესპონდენცია; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის MES 8 21 0001285356 - 30/11/2021 კორესპონდენცია (აკრედიტაციის მოპოვების თანხმობა); • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის სკოლის ორივე ლოკაციაზე სულ ირიცხება - 1057 მოსწავლე. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ქართული ატესტატის გვერდით მოიპოვონ ამერიკული საშუალო სკოლის დიპლომი. სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით დაწესებულებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უცხოური ენების სწავლებას. საათობრივი დატვირთვა გაზრდილია ინგლისურ ენაში (პირველი უცხოური ენა). პირველი უცხოური ენის სწავლება იწყება პირველი კლასის პირველი სემესტრიდან კვირაში 8 საათიანი დატვირთვით და მერყეობს 6-7 საათამდე კლასების მიხედვით. მეორე უცხოური ენის - გერმანულის სწავლება იწყება III კლასიდან კვირაში 2 საათიანი დატვირთვით, მესამე უცხოური ენა (მოსწავლეთა არჩევანის შესაბამისად) ისწავლება მე-5 კლასიდან კვირაში 2 საათიანი დატვირთვით. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებითი სავალდებულო საგნების სწავლებას, როგორიცაა: • ბიზნეს განათლება - I-X კლასი; • წიგნიერება - I-V კლასი; • მედიაწიგნიერება და ციფრული მოქალაქეობა - X კლასი • ლოგიკა, უნარები - I-IX კლასი; • STEM- III-IX კლასი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ჭადრაკი - I- IV კლასი; • ცეკვა- I- IV კლასი; • სოციალურ ემოციური უნარები - I-XII კლასი; ამასთან, ბიზნეს განათლება იყოფა შემდეგ პროგრამებად: • I-VI კლასი - ბიზნესის უნარ-ჩვევები (I კლასში ისწავლება მხოლოდ მეორე სემესტრში); • VII კლასი - ფინანსური წიგნიერება; • VIII-IX კლასი - ეკონომიკა. სასკოლო-სასწავლო გეგმის პროექტს თან ერთვის ამ საგნების სწავლების პროგრამები. პროგრამების კურიკულუმები გაწერილია დეტალურად. XI-XII კლასებში ძირითადი საგნების (ესგ. გათვალისწინებული პროგრამების) სწავლების პარალელურად მიმდინარეობს მოსწავლეთა მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის. ამისთვის კი სკოლას ცხრილში ჩასმული ჰქონდა „აბიტურის საათები“. ვიზიტის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია „აბიტურის საათები“ ჩაანაცვლოს ფაკულტატიური მეცადინეობებით, რადგანაც „აბიტურის საათი“ ემსახურებდა „CAT“ გამოცდებისთვის XII კლასის მოსწავლეთა მზადებას, ხოლო ეს გამოცდები მოხსნილია. სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია. სკოლაში ხორციელდება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამაც. IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი კლასის დამრიგებელი, რომელიც ს/წლის დასაწყისში შეიმუშავებს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში, გაკვეთილებისა და სხვა აქტივობების ჩატარების განრიგსა და პროგრამას: 8 გაკვეთილი – IX კლასში; 4 გაკვეთილი – XI კლასში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე შეხვედრები და სხვა აქტივობები პროფორიენტაციის მიმართულებით შესაძლოა წარიმართოს ონლაინ ფორმატში. შპს ქართულ - ამერიკული სკოლა პროგრესი 2022-2023 სასწავლო წლიდან გეგმავს დამატებითი საგნების შეთავაზებას მოსწავლეებისთვის, რათა დაეხმაროს მათ სამომავლო წარმატების მიღწევაში. არჩევითი Advanced Placement (AP) საგნები, რომლებიც საუნივერსიტეტო დონის საგნებია, აძლევს მოსწავლეს საშუალებას გამოსცადოს საკუთარი თავი უნივერსიტეტის კურიკულუმის ათვისებაში და გამოიმუშაოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. AP საგნების გამოცდაზე დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღების შემთხვევაში, მოსწავლეს საერთაშორისო უნივერსიტეტებში მიღებისას ენიჭება უპირატესობა. ქვემოთ მოცემული არჩევითი (AP) საგნებიდან XI-XII კლასის მოსწავლეები 4 საგანს აირჩევენ: • AP English Language and Composition • AP American History • AP Micro Economics • AP Macro Economics • AP US Government and Politics • AP Human Geography • AP Calculus • AP German Language and Culture • AP Biology • AP Chemistry • AP Physics სკოლაში შემცირებულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საათები I-IV კლასებში 2 საათამდე, ხოლო V-XII კლასებში 1 საათამდე. ასევე შემცირებულია ხელოვნებისა და მუსიკის საათები საბაზო საფეხურზე კვირაში 1 საათამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში არჩევით საგნებად საშუალო საფეხურზე განსაზღვრულია ამერიკისმცოდნეობა, ეკონომიკა, სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა. ქართულენოვანი პროგრამისათვის წარმოდგენილი საათობრივი ბადის მიხედვით, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგანი. საათობრივი დატვირთვა დამატებითი სავალდებულო საგნების ხარჯზე გაზრდილია. სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად არის წარმოდგენილი საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები. კათედრების მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდებზე, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზზე, ურთიერთ-თანამშრომლობაზე, გამოცდილების გაზიარებაზე და ა.შ. სკოლამ ასევე წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ამსახველი დოკუმენტაცია, თემატური გეგმები, კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი სამუშაოები, სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტების დეტალურად დაგეგმილი პაკეტები სხვადასხვა კლასებისა და საგნების მიხედვით. კურიკულუმები სწავლების 5 ძირითად პრინციპზეა აგებული. მოცემულ დოკუმენტებში იკვეთება, რომ სკოლა მიმართავს კონსტრუქტივისტულ, მოსწავლეზე ორიენტირებულ, კვლევით პროცესებს, რათა სიღრმისეულად მოხდეს თითოეული მოსწავლის თავისებურების განსაზღვრა და მისთვის საჭირო ხელშემწყობი გარემოს ფორმირება. სადამრიგებლო პროგრამების შინაარსი ორიენტირებულია ადამიანის უფლებების, ინტერკულტურული გარემოსა და ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობის გააზრებაზე. სადამრიგებლო საათების თემები ეროვნული სასწავლო გეგმის 6 მიმართულებას ითვალისწინებს. დამრიგებლების ანგარიშებში და მოსწავლეთა ინტერვიუირებისას იკვეთება, რომ კლასებში ხორციელდება სხვადასხვა სახის აქტივობები ექვსივე მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კონკრეტულ კლასში კონკრეტული საგნის სწავლებისას ხელი ეწყობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შინაარსების გააზრებასა და უნარების გამომუშავებას, რაც მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუებითაც დასტურდება. სასკოლო საათობრივი ბადის შემადგენელი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისიწინებელი სავალდებულო საგნების სწავლების მიზნებით, შინაარსით, სხვადასხვა სასკოლო აქტივობებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის დანართები; • შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (დამტკ. ბრძანება 02/85- 02.09.2021წ. დანართებით); • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის MES 3 21 0001088864 - 15/10/2021 კორესპონდენცია; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის MES 8 21 0001285356 - 30/11/2021 კორესპონდენცია (აკრედიტაციის მოპოვების თანხმობა); • სკოლის თემატური გეგმები და კურიკულუმები; • კომპლექსური დავალებები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი ორიენტირების, თემატური სასწავლო გეგმების მეთოდიკის, თუ შეფასების კომპონენტების ნაწილებში იკვეთება, რომ სკოლა ფუნქციონირებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებით. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შედეგების ანალიზის ფორმების შინაარსით ჩანს, რომ დაწესებულება აანალიზებს მოსწავლეებთან მიღწეულ შედეგს. იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან მეთოდოლოგიას და საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს სთავაზობს სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ ხშირად ეძლევათ დავალებების მენიუ, ბონუს დავალებები, რასაც ასრულებენ მზაობისა და სურვილის მიხედვით. სკოლა საგაკვეთილო აქტივობების გარდა დამატებით მეცადინეობებს უტარებს მოსწავლეებს საჭიროებების მიხედვით (დასწავლის სირთულეებისას, ჯანმრთელობის პრობლემებით გამოწვეული გაცდენების შემთხვევაში...). სკოლისთვის უმნიშვნელოვანესია ინკლუზიური განათლება. ქართულ-ამერიკული სკოლა აქტიურად თანამშრომლობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდთან. სკოლას ჰყავს ინკლუზიური განათლების მასწავლებელი. 2021-2022 სასწავლო წელს სკოლაში შეიქმნა მულტიდისციპლინური გუნდი რომელშიც გაერთიანდა სპეც. მასწავლებელი, ფსიქოლოგი, სკოლის ადმინისტრაციის წევრი, მშობელი, საგნის მასწავლებელი. კოორდინატორის მოვალეობას შეასრულებს კლასის დამრიგებელი. მულტიდისციპლინური გუნდი ვალდებულია 2 თვის განმავლობაში აწარმოოს დაკვირვება, კერძოდ, შეისწავლოს თითოეული მოსწავლის ფსიქო-ინტელექტუალური და ფიზიკური მდგომარეობა. დასკვნის შემდეგ ჯგუფი ვალდებულია შეიმუშაოს მოდიფიცირებული სასწავლო გეგმა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად აქვს წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი სპეციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ალტერნატიული სასწავლო გეგმის შემუშავება და გამოყენება, ისგ-ს ჯგუფის შექმნა, სსსმ აკადემიური მიღწევების შეფასება, დასწრებასა და გაცდენებთან დაკავშირებული რეგულაციები. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია ის პრევენციული მექანიზმები, რაც განაპირობებს შემდგომში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს. ასევე გაწერილია რეგულაციები მოსწავლის შინ სწავლების შესახებ. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესში ხშირად გადმოდიან მოსწავლეები, რომლთაც ესაჭიროებათ სხვა სკოლაში/უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება და მათი საჭიროების შესაბამისი სასწავლო გარემოს ორგანიზება. ვიზიტისას შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა მიმდინარე სასწავლო წელს გადმოსული უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეთა დოკუმენტაცია. ერთ მოსწავლეს ჰქონდა შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები იმ დისციპლინებში, რაც მას არ ჰქონდა გავლილი წინა კლასებში. მოცემული საგნობრივი პროგრამების დაძლევაში მას შესაბამისი მხარდაჭერა აღმოუჩინა სკოლამ, ხოლო მეორე მოსწავლეს ექსტერნატის გამოცდებით ჰქონდა დაძლეული საგნები. სკოლას ორივე შემთხვევაში სრულფასოვნად ჰქონდა წარმოდგენილი მოსწავლეების სწავლისა და შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია. სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ინტერვიუს პროცესში აქტიურად საუბრობენ მიმდინარე სასწავლო პროცესში მათი ჩართულობისა თუ დაგეგმილი სხვადასხვა ერთობლივი აქტივობების შესახებ. მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არიან რეალიზებულნი, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მათ საინტერესო და სახალისო აქტივობებს, რაც ხელს უწყობს ნებისმიერი მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის დანართები; • შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (დამტკ. ბრძანება 02/85-02.09.2021წ. დანართებით); • სკოლის თემატური გეგმები/კურიკულუმები; • კომპლექსური დავალებები; • სასწავლო პროექტები; • სადამრიგებლო პროგრამები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება; • მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში მოქმედი მოსწავლეთა შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების სისტემასთან. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. კერძოდ, გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი იყენებს შეფასების სხვადასხვა ფორმებს. მაგ: სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარი, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასების სქემა, ურთიერთშეფასების კითხვარი და სხვ. განმავითარებელი შეფასება ეხმარება მოსწავლეს გააცნობიეროს თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები, იყოს სწავლისთვის შინაგანად მოტივირებული,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებელთან ერთად ან დამოუკიდებლად დასახოს დასწავლის უკეთესი და მის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული სტრატეგიები. მცირერიცხოვანი ჯგუფები საშუალებას აძლევს მასწავლებელს ხშირად მიმართოს განმავითარებელი შეფასების ფორმებს, მისცეს მოსწავლეს ზოგადი და კონკრეტული რჩევა-დარიგებები და ჩართოს მოსწავლე შეფასების პროცესში. განმსაზღვრელი შეფასებისას სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დადგენილ კომპონენტებს: საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება. დავალების ტიპები: ტესტი დახურული და ღია კითხვებით, თხზულება, პროექტის პრეზენტაცია, ესე, ცდის ჩატარება, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი და სხვ. საგნობრივი კათედრები განიხილავენ დავალების ტიპებს, რომელიც ასახულია როგორც კათედრის, ასევე მასწავლებლის სამუშაო გეგმაში. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები V-XII კლასებში ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით. 10 ყველაზე მაღალი ნიშანია, 1 კი-ყველაზე დაბალი. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით: მიმდინარე საშინაო დავალება, მიმდინარე საკლასო დავალება და შემაჯამებელი დავალება. სამივე კომპონენტს აქვს ერთნაირი წონა. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. სკოლამ წარმოადგინა, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი სქემები საფეხურების, საგნების და კომპონენტების მიხედვით. V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება ხორციელდება ჩათვლის სისტემით ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა და არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას. ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესს შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების სტრატეგიული გეგმა. შეფასების სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს ინფორმაციას მოსწავლის შესაძლებლობის ანალიზისა და მისი პროგრესის შესახებ. ის არის საშუალება, რომლითაც სკოლა ახდენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროცესის ანალიზსა და სწავლების პროცესის ეფექტურობის დადგენას, რომელსაც დაეფუძნება შემდგომი დაგეგმვა. მიმდინარე და შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება ნიშნით, წინასწარ მოსწავლისათვის ნაცნობი რუბრიკების საფუძველზე. კლასის დამრიგებელი ვალდებულია ინდივიდუალურად აწარმოოს სემესტრის შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასების ამსახველი დოკუმენტი. თემის ბოლოს ადგილი აქვს შემაჯამებელ შეფასებას. იგი მოსწავლესა და მასწავლებელს აძლევს საშუალებას მოახდინოს მიღებული/გადაცემული ცოდნის დემონსტრირება. შემაჯამებელ შეფასებაში შეიძლება შევიდეს ნებისმიერი სფერო ან სფეროთა კომბინაცია. მაგ.: მონაცემთა შეგროვება _ დალაგება, პრეზენტაცია, ინფორმაციის სინთეზირება, დაგროვილი ცოდნის გამოყენება. სასწავლო პროცესში შეფასების კომპონენტების რუბრიკებს ადგენს საგნობრივი კათედრა, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართებად წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების ანალიტიკური და ჰოლისტური რუბრიკები, ,,ჩეკლისტები“ ზოგადი და საგნობრივი ფორმატით, წარმოდგენილია მოსწავლის მოკლე შემაჯამებელი შეფასების წერილობითი შაბლონები საგნების მიხედვით. ვიზიტის დროს დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ რამდენიმე შეფასების რუბიკაში არასწორად იყო გადანაწილებული შეფასების დონეები. მაგალითად, ექსპერიმენტის შეფასების სქემის ერთერთ გრადაციაში გაერთიანებულია 4-5 ქულა. მოცემულ შემთხვევაში 5 ქულა ითვლება დამაკმაყოფილებელ შეფასებად, ხოლო 4 დაბალ შეფასებად, რაც მოსწავლისთვის დამაბნეველია და არ მოდის შესაბამისობაში სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების ნაწილთან. სკოლამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში ტექნიკური ხარვეზია, სწრაფად მოახდინა რეაგირება და ახალი 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის შეფასების რუბრიკებში ვიზიტის პერიოდშივე განახორციელა რუბრიკების შესაბამისობაში მოყვანა სკოლის შეფასების სისტემასთან. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, რომლის შედგენაზე პასუხისმგებელია კათედრის ხელმძღვანელი და საგნის მასწავლებელი, რომელიც წინასწარ ეცნობება მოსწავლეს. ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში მოსწავლის მიერ შემაჯამებელი დავალებების აღდგენა უნდა მოხდეს მეორე შემაჯამებლის შესრულებამდე ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები, ქულების გამოანგარიშების წესი, საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალებით) არის 5.0 ან მეტი აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების გარეშე) არის 5.0 ან მეტი რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების უფლებას. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების გარეშე) არის 5.0 ან მეტი , დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი. დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის საერთო ქულის გამოთვლისას. მოსწავლის გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა საკლასო ელექტრონულ ჟურნალში EDUPAGE.GE. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები: ა) სემესტრული გამოცდა; ბ) წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა; გ) საშემოდგომო გამოცდა; დ) ექსტერნატის გამოცდა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წლიური გამოცდა ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში ინიშნება მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე. საგნის წლიური გამოცდის დანიშვნა და განრიგი განსაზღვრულია სასწავლო წლის დაწყებამდე. წლიურ გამოცდაზე მიღებულ ქულას გავლენა აქვს საგნის წლიურ ქულაზე. წლიური გამოცდებისთვის კათედრის ხელმძღვანელები ადგენენ შემაჯამებელი დავალების მსგავს შინაარსიან, კონტექსტუალიზებულ, კომპლექსურ დავალებებს ან ატარებენ ზეპირ გამოცდას. სკოლაში პირველი სემესტრის ბოლოს ტარდება შემაჯამებელი პრეზენტაციები სხვადასხვა საგნებში. პრეზენტაციების ჩატარების გრაფიკი დგება წლის დასაწყისში და გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე ყველა სართულზე, აგრეთვე განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით. ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების ან საბაზო/საშუალო განათლების ატესტატის მიღების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომელთაც საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულაა 10 დამრგვალების გარეშე იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს; მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი იღებს სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს; სკოლა ყოველი სემესტრის და წლის ბოლოს საჯაროდ აცხადებს მხოლოდ წარჩინებულების ვინაობას; შესაძლებელია თითოეული საფეხურისათვის მოეწყოს საერთო შეკრება, რაზეც წარჩინებულ მოსწავლეებს წარადგენენ წარჩინების ხარისხის მიხედვით. დაუშვებელია მოსწავლის ქულების საჯაროდ გამოცხადება. ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესში წარჩინებულ მოსწავლეებზე :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	1. გაიცემა სტიპენდია 1000 ლარის ოდენობით 2. გაიცემა დაფინანსება გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაზე (გერმანია, ინგლისი, პოლონეთი) 3. გაიცემა დაფინანსება საერთაშორისო გამოცდებისთვის, როგორიცაა კემბრიჯის და გოეთეს ინსტიტუტის სასერთიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსი. განსხვავებულია ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური შეფასების წესი: ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესში შეფასების მეთოდები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების წარმოჩენა, დემონსტრირება. შეფასების კომპონენტები ითვალისწინებს Common Core და Next Generation სტანდარტების მოთხოვნებს. გაწერილია შეფასების რუბრიკები, საგნების კლასების, კომპონენტების მიხედვით, თითოეული ქულის შესაბამისი განმარტებებით. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის IX-XII კლასებში სწავლებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. გამოიყენება 100 ქულიანი შეფასების სისტემა. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის IX-XII კლასებში მოსწავლე ფასდება სკოლის მიერ შემუშავებული 100 ქულიანი შეფასების სისტემით, რომელიც აგებულია ამერიკული განათლების სისტემის საფუძველზე. დადებითი შეფასებები: (A/ A-) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 90% და მეტი; (B+/B /B-) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 80-89%; (C+/C /C-) კარგი - მაქსიმალური შეფასების 70-79%; (D+/D /D-) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 60-69%; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-59%; უარყოფითი შეფასებები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	(F) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 0-50%, რაც ნიშნავს, რომ მოსწავლეს პროგრამის ასათვისებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამატებითი მუშაობით სავარჯიშოები და პროექტები პროგრამის დასაძლევად. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან სხვადასხვა კომპონენტით: • მიმდინარე საკლასო სამუშაო, • საშინაო დავალება, • შუალედური წერები/გამოკითხვები • ფინალური წერები/გამოკითხვები, თითოეული კომპონენტის ფარგლებში შესაძლებელია ჩატარდეს: ესსე, თემის შემაჯამებელი, საშინაო დავალების გამოსაკითხი ტესტი, შემაჯამებელი ესსე, კომპლექსური დავალება-პროექტი, ლაბორატორიული სამუშაო. თითოეულ კომპონენტში მიღებული ქულა შედის მოსწავლის განმსაზღვრელ შეფასებაში. ამ კომპონენტების შესაბამისი რუბრიკები თან ერთვის სასკოლო შეფასების დოკუმენტს. შეფასების კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვს, გარდა ფინალური წერისა/გამოკითხვისა. 2022-2023 სასწავლო წელს I სემესტრში შუალედური წერა/გამოკითხვა ჩატარდება ნოემბრის ბოლოს, ხოლო II სემესტრში შუალედური წერა/გამოკითხვა ჩატარდება მარტის ბოლოს. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შუალედური წერა/ გამოკითხვა. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე წერას/გამოკითხვას გაცდენის გამო, მას გაცდენილი შუალედური წერის/გამოკითხვის აღდგენის საშუალება ეძლევა. აღდგენა შესაძლებელია სემესტრის დასრულებამდე ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. ფინალური გამოცდა ტარდება ყველა საგანში სემესტრის ბოლოს მე-9, მე-10, მე-11, მე-12 კლასებში. გამოცდები შეიძლება იყოს ზეპირიც ან/და წერილობითიც, საგნისა და მისი მიზნების საჭიროებებიდან გამომდინარე. ფინალური გამოცდის ქულას სემესტრული ქულის გამოანგარიშებისას აქვს 30% წილი. თუ მოსწავლემ ფინალურ გამოცდაში ვერ მიიღო დადებითი შეფასება, მას ეძლევა ორი კვირა ხელმეორედ ჩასაბარებლად. ამ დროს მოსწავლესთან ინდივიდუალურად მუშაობენ მასწავლებლები. ფინალური გამოცდები არ ტარდება შემდეგ საგნებში:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ხელოვნება; • მუსიკა; • სპორტი; • ქართული ენა და ლიტერატურა. მოსწავლეები წლის განმავლობაში აბარებენ Measure of Academic Progress (MAP - აკადემიური პროგრესის გაზომვა) ტესტირებებს ინგლისურ ენასა (კითხვა და გრამატიკა) და მათემატიკაში. MAP ტესტირება ტარდება ელექტრონულად. გამოცდების დასრულების შემდეგ, სკოლა იღებს თითოეული მოსწავლის უნარების და ცოდნის დამადასტურებელ სრულფასოვან შეფასებას Common Core სტანდარტებთან მიმართებაში. სკოლას წვდომა აქვს მსოფლიოში დადგენილ სტანდარტებზე, რაც სწავლის შედეგების გაანალიზების საშუალებას იძლევა. შედეგების განხილვა ხდება სკოლის აკადემიური პერსონალის შეხვედრებზე (კათედრები და ადმინისტრაცია). შედეგებიდან გამომდინარე ხდება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში გეგმის შედგენა. დიაგნოსტიკურ წერაში მიღებული შეფასება გავლენას არ ახდენს მოსწავლის სემესტრულ ან/და წლიურ ქულაზე. ყველა საგნის უმაღლესი ქულა არის -100. მოსწავლეს საგანი ჩაბარებულად ეთვლება, თუ სემესტრის მანძილზე 51 ქულა მაინც დააგროვა. მოსწავლეთა შეფასების - ნიშნების კონვერტირება ხდება შესაბამისი წესით, რაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშება ხდება შემდეგი სქემით: სემესტრის განმავლობაში მიღებული ნიშნების (საკლასო, საშინაო, შუალედური წერები/გამოკითხვები) ჯამს (70%) + ფინალური გამოცდის ნიშანი (30 %) = სემესტრულ ქულას. სემესტრის ბოლოს, მოსწავლის ქულების მიხედვით შედგება მისი ნიშნების ფურცელი (Report Card). ორი სემესტრის ქულის საშუალოთი კი გამოითვლება მოსწავლის საბოლოო ქულა თითოეულ საგანში, რაც აისახება საბოლოო ტრანსკრიპტში. ტრანსკრიპტში მოცემულია მოსწავლის GPA (Grade Point Average - საშუალო აკადემიური შეფასება), რომელიც 4.0 ბალიანი სკალით გამოითვლება და ეფუძნება მოსწავლის მიერ ამერიკულ სკოლაში სწავლების პერიოდში მიღებულ ყველა საბოლოო ქულას. განმსაზღვრელი შეფასების გარდა, მოსწავლეებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წლის მანძილზე ეძლევათ განმავითარებელი შეფასება, მასწავლებლების კომენტარები. სკოლისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. სკოლის მიერ წარმოდგენილია თითოეული მასწავლებლის შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების ნიმუშები. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკების /კრიტერიუმების ნიმუშები. ჟურნალი ასევე, იძლევა განმავითარებელი შეფასების საშუალებას, რაც კიდევ უფრო მოქნილსა და გამჭვირვალეს ხდის შეფასების სისტემას. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ ელექტრონულ ჟურნალში ადმინისტრატორის ველს, განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, შემაჯამებელი დავალებების ტიპებსა და ანალიზს. შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა უმეტეს საგანში იყო ესგ-ის მოთხოვნებზე მეტი, მაგრამ არცერთ საგანში არ ფიქსირდებოდა სავალდებულო მინიმუმზე ნაკლები. სკოლაში დანერგილია შეფასებების საკლასო ოთახებში ყოველთვიური გამოქვეყნების პრაქტიკა და მშობლებისთვის ინფორმაციის ინტერნეტით ან დამრიგებლის მიერ მიწოდება. შესწავლილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოების ინტერვიურების შედეგით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის დანართები; • შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (დამტკ. ბრძანება 02/85- 02.09.2021წ. დანართებით); • სკოლის თემატური გეგმები/კურიკულუმები; • კომპლექსური დავალებები; • კათედრების პორტფოლიო, სამუშაო გეგმები, ოქმები; • შემაჯამებელი სამუშაოს ნიმუშები; • სსგ-ის დანართი 8. შემაჯამებელი-დავალების-ანალიზის-ნიმუში • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება; • მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი უზრუნველყოფს მშობელთა აქტიურ ინფორმირებას შეფასების სისტემის და პროცესების შესახებ, რაც დადებით გავლენას ახდენს სკოლის ცხოვრებაზე, მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე და ზოგადად სკოლის შემდგომ განვითარებაზე. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს შექმნას სათანადო პირობები იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებთან და სხვა დასაქმებულ პირებთან. თუმცა ამავე დროს სკოლის SWOT ანალიზში სკოლა მშობელთა ჩართულობას მაინც სუსტ მხარედ მიიჩნევს და სტრატეგიული განვითარების ერთწლიან და ექვსწლიან გეგმებში ითვალისწინებს მშობელთა ჩართულობის გაძლიერებას. მაგალითად, სკოლის ერთწლიან და ექვსწლიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სტრატეგიული განვითარების გეგმაში გათვალისწინებულია მშობელთა ასოციაციის გაძლიერება სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის მიზნით. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულება. დებულების მიზნებია: • სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა; • მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა; • მშობელთა დროული ინფორმირება სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, აქტივობების და სხვა მიმდინარე მოვლენების თაობაზე; • მშობლების დროული ინფორმირება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე; • მოსწავლეთა ხელშეწყობა მასწავლებლებთან, თანატოლებთან და საზოგადოებასთან ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში; • კეთილგანწყობილი, მაღალი პასუხისმგებლობით აღსავსე, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება; • სასწავლო პროცესის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების ხელშეწყობა; დებულებაში წარმოდგენილია მასწავლებლის/დამრიგებლის ვალდებულებები მშობლებთან ურთიერთობისას, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებები, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა, მშობლისათვის/მოსწავლისათვის სავალდებულო მისაწოდებელი ინფორმაცია, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, მშობელთა კითხვარი. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულებას შეიმუშავებს და ამტკიცებს სკოლის დირექტორი. დამრიგებელი ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელს/მოსწავლეს მიაწოდოს ინფორმაცია და გააცნოს შემდეგი დოკუმენტები: • სკოლის შინაგანაწესი; • მოსწავლის ქცევის კოდექსი; • სახელმძღვანელოების ნუსხა; • უსაფრთხოების წესები; • სასწავლო პროგრამები; • სადამრიგებლო პროგრამა; • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; • ლაბორატორიით სარგებლობის წესი; და სხვა. დამრიგებელი სემესტრის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ აწყობს შეხვედრას მშობლებთან. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ყოველ პარასკევს (14:00 საათიდან 17:00 საათამდე) მოვიდეს სკოლაში და გაესაუბროს დამრიგებელსა და მასწავლებლებს. მასწავლებელი არჩევს მშობლისთვის სასურველ კომუნიკაციის საშუალებას (სატელეფონო ზარი, SMS შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა, წერილის გაგზავნა და ა.შ.); თუ დაბარების მიუხედავად მშობელი ვერ მოდის სკოლაში, მასწავლებელი ვალდებულია სატელეფონო ზარით შეატყობინოს მას მოსწავლის მოსწრებები და საჭიროებები; მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება: • მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა); • ელექტრონული ჟურნალის edupage.org მეშვეობით; • მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით; • სოციალური ქსელის მეშვეობით; SMS შეტყობინების საფუძველზე; მოსწავლის აკადემიური მოსწრების, პირადი ურთიერთობების, დისციპლინის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი განხილვა საჯაროდ დაუშვებელია. მოსწავლის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებელი ან სკოლის დირექტორი ინდივიდუალურად ხვდება მშობელს; სკოლა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ავსებინებს კითხვარს, რომლის საშუალებითაც ადგენს მშობლის ინტერესის სფეროებს, სასკოლო ღონისძიებებში მათი ჩართულობის მზაობას. თავის მხრივ მშობელი ვალდებულია აქტიურად ითანამშრომლოს სკოლის მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან. შეასრულოს დებულებით, სკოლის შინაგანაწესით და სკოლასთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები. მშობელი უფლებამოსილია მოითხოვოს სასწავლო პროცესში მონაწილე პირების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება, მიიღოს ინფორმაცია სკოლის ფუნქციონირების ნებისმიერ საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია მისი შვილის სწავლა-განათლებასთან. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კლასის დამრიგებლები, სასწავლო წლის დასაწყისში, პირველ შეხვედრაზე ახდენენ მშობლების ინფორმირებას სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითად ასპექტებიდან დაკავშირებით. მშობელთა განცხადებით სკოლა ითვალისწინებს მათ კანონიერ მოთხოვნებს და რიგ შემთხვევაში რთავს მოსწავლეებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღებაში (მაგ. მოსწავლეთა კვებასთან დაკავშირებით). სკოლა მშობლებს სთავაზობს გამოკითხვის ფორმებს, რათა გაითვალისწინოს მათი აზრი და მოთხოვნები. მაგალითად, გამოკითხვა სკოლის კლიმატსა და კულტურაზე, მშობელთა ჩართულობის კითხვარი, მშობელთა კითხვარი და სხვა. ყველა მშობელმა პოზიტიურად შეაფასა სასკოლო გარემო, კლ. დამრიგებლების მუშაობა, მასწავლებლების მზრუნველობა და კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მშობელთა ინფორმირებისთვის სკოლა ასევე აქტიურად იყენებს ვებ-გვერდს: www.schoolprogress.ge, სადაც აქტიურად ქვეყნდება სიახლეები სასკოლო ცხოვრების შესახებ. ამრიგად, სკოლა უზრუნველყოფს მშობელთა ინფორმირებას მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და ამავდროულად მშობლის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულება; • 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • სკოლის ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები; • გამოკითხვის ფორმები; • სკოლის ვებ-გვერდი: www.schoolprogress.ge • მშობელთან დასადები ხელშეკრულებები; • მშობლებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ - ამერიკული სკოლა პროგრესი მისიის და მიზნების რეალიზაციის, ზოგადი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად ახორციელებს საქმიანობის სისტემატურ შეფასებას. სკოლაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს უწყვეტ ციკლს. „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებას ხელმძღვანელობს ხარისხის განვითარების ჯგუფი რომლის შემადგენლობაში შედის გენერალური და აღმასრულებელი დირექტორები სასწავლო პროცესის კოორდინატორები, არაფორმალური განათლების კოორდინატორი, კათედრის ხელმძღვანელები, ამერიკული პროგრამების ფასილიტატორი და 3 მშობელი სკოლის მშობელთა ასოციაციიდან, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესს, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, გამოიყენება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სხვადასხვა სახელმძღვანელოები, ლიტერატურა და რეკომენდაციები. პროგრამის განხორციელების შეფასება ხდება მოსწავლეთა, მასწავლებელთა გამოკითხვით, ინტერვიუირებით. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით მოსწავლეებს ურიგდებათ სასწავლო საგნისა და მასწავლებლის შეფასების კითხვარი. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება საგანმანათლებლო პროგრამების კორექტირება ან/და მასწავლებელთან შედეგების ინდივიდუალური განხილვა; ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ სტანდარტებთან, სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის, საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, პერსონალის, მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების (ფინანსები), ადამიანური რესურსების, სტრუქტურული ერთეულების, საშტატო ერთეულების ფუნქციონირების ხარისხის სისტემატური შეფასების გზით. სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სკოლა ამტკიცებს შეფასების ფორმებს, კერძოდ: • მოსწავლის მიერ მასწავლებლის და სასწავლო საგნის შეფასების კითხვარი; • მასწავლებლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, დაწესებულების რესურსისა და განვითარების შეფასების კითხვარი; • მოსწავლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, დაწესებულების რესურსისა და განვითარების შეფასების კითხვარი; • ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი; • ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასების კითხვარი; • ადმინისტრაციული პერსონალის მიერ დაწესებულების რესურსის შეფასების კითხვარი; • საშუალო საფეხურის მოსწავლეების შეფასების კითხვარი; • მასწავლებელი მოსწავლის თვალით; • დისტანციური სწავლების შეფასების კითხვარი; • საგნობრივი კათედრის წევრის თვითშეფასების კითხვარი; • მშობელთა გამოკითხვის ანალიზი და სტატისტიკა; • მოსწავლეთა გამოკითხვის ანალიზი და სტატისტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• კითხვარი მასწავლებლებისთვის; • პედაგოგის შეფასების ფორმა ხარისხის განვითარების ჯგუფი ყოველი სემესტრის დაწყებამდე ადგენს კვლევის საჭიროებებს და შეიმუშავებს მიმდინარე სემესტრში განსახორციელებელი აქტივობების გეგმას. შეფასებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი გუნდი შეარჩევს შესაფერის მეთოდოლოგიას: მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების მიზნით ისინი შეისწავლიან მონაცემებს სასკოლო ჟურნალებიდან (განმსაზღვრელი შეფასება), კათედრის პორტფოლიოებიდან (შემაჯამებელი დავალებების შესრულების ანგარიშები, კათედრის ხელმძღვანელის ანგარიშები) და გამოკვეთენ კონკრეტულ საგნებში აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებელს საგნების მიხედვით; ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შეფასებას ექვემდებარება შემდეგი სფეროები: ა) დამრიგებლის მუშაობის შეფასება; ბ)კათედრების მუშაობის შეფასება; გ) მასწავლებლების პორტფოლიოს წარმოების შეფასება; დ) სასწავლო პროცესში გამოყენებული თვალსაჩინოებები, რესურსები, დამხმარე მასალები...; ე)რამდენად ეფექტურად გამოიყენებოდა განმავითარებელი შეფასებები; ვ)მოსწავლეთა მიღწევები ცალკეული საგნების მიხედვით და მისი კორელაცია სხვადასხვა ფაქტორთან; ზ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მომსახურების ხარისხი და მათი მიღწევები, ინდივიდუალური გეგმები. თ) სასწავლო პროცესის გამართულად ფუნქციონირება; დ) სასწავლო პროცესის ტექნიკური გამართულობა, შეესაბამებოდა თუ არა ტექნიკური აღჭურვილობა სასწავლო პროცესს და რამდენად უზრუნველყო მიზნის მიღწევა; ე) მშობელთა ჩართულობა; ვ) სკოლის უსაფრთხოება; ი) შემაჯამებელი სამუშაოების შეფასება და ანალიზი; კ) პედაგოგების შეფასება; ლ) საგაკვეთილო პროცესის ხარისხი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მ) სხვა მნიშვნელოვანი სფეროები, მისი აქტუალობიდან გამომდინარე, რაც უკავშირდება სწავლების ხარისხს; სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასება ხორციელდება შემდეგი წყაროებიდან მოპოვებული ანალიზის საფუძველზე: ა) სკოლის დოკუმენტაცია; ბ)გეგმიური გამოკითხვები მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან/კითხვარები; გ) ჯგუფური დისკუსია, შეხვედრები. დ) საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება; ე) სხვა სახის წყაროები საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე. ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ, სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფი განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს და აცნობს სასკოლო საზოგადოებას, სკოლის დირექტორს. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებით მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მუშავდება მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. სკოლას წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, სადაც მოცემულია განხორციელებული სამუშაოები და ვადები. ვიზიტის დროს მიმდინარეობდა მუშაობა ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; • ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტი; • გამოკითხვის ფორმები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება; • მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 5117.00 კვ.მ. მ	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი მდებარეობს ორ ლოკაციაზე. ქალაქ ქუთაისში და ქალაქ ბათუმში. ქ. ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №20 მდებარე სკოლის შენობა საერთო ფართით 1951,54 კვ.მ. შედგება ორი, ერთმანეთთან დაკავშირებული 3 და 4 სართულიანი ნაწილისაგან . სკოლას აქვს შემოღობილი ეზო, რომელშიც გამოყოფილია დასასვენებელი და სათამაშო სივრცეები. ქალაქ ბათუმში, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიწის 4284.0კვ.მ. არასასოფლო სამურნეო ნაკვეთზე განთავსებულია მშენებარე N1, N2, N3 შენობა საერთო ფართობით 4781.6 კვ.მ. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა სკოლის შენობის სამშენებლო პროცესის დასკვნითი ეტაპი. სამშენებლო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად სკოლაში სამშენებლო პროცესები სრულად დასრულდება სექტემბრის ბოლოსთვის. სტანდარტის უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია, სწავლის დაწყებამდე უზრუნველყოს დაწესებულების ექსპლოატაციაში მიღება.
ფაქტობრივი მისამართი	ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №20. ბათუმი, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30.
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	ქუთაისი 03.04.25.158. ბათუმი 05.26.28.053
კვ.მ.	ქუთაისი 1951,54 კვ.მ. ბათუმი 4781.6 კვ.მ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • საკადასტრო გეგმა; • სართულების მიხედვით გეგმა; • უკუსვლის გეგმა; • ინტერვიუირება.
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მფლობელობაში არსებულ **ქუთაისის შენობაში** 54 საკლასო ოთახია. თითოეული ოთახი აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, რომლებიც მოსწავლის ასაკისა და ფიზიკური განვითარების შესაფერისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საკლასო ოთახები კეთილმოწყობილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ავეჯით: მოსწავლის მერხები, კარადები, მასწავლებლის მაგიდა, დაფა, მონიტორი. სკოლას გააჩნია: საკონფერენციო დარბაზი, მცირე სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, სასადილო, ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები, სამასწავლებლო, რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა, რადიო და ჟურნალი „პროგრესელების“ ოთახი, სამოქალაქო განათლების კლუბის ოთახი, ევროკავშირის კუთხე, უცხო ენების კაბინეტები, შეხვედრებისა და განაყოფების ოთახები. **ზათუმის ფილიალში** - სკოლის შენობაში სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის ოთახები გადანაწილებულია შემდეგი პრინციპით: 1 სართულზე: სააქტო დარბაზი (გასახდელებით); საკლასო ოთახი -4; ადმინისტრაციის ოთახი -2; დამხმარე ოთახი -1; სასადილო -2; სამზარეულო -1; ბიბლიოთეკა. მე-2 სართული: საკლასო ოთახი -20; ოთახი განაყოფებისათვის -2; IT ლაბორატორია -1; საბუნებისმეტყველო ლაბორატორია -1. მე-3 სართული: საკლასო ოთახი -20; ოთახი განაყოფებისთვის -2. მე-4 სართული: დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, საკონფერენციო ოთახი, ადმინისტრაციის ოთახი. სულ 42 საკლასო ოთახი. თითოეულ კლასისთვის შეძენილი და დასაწყობებულია საფეხურის შესაბამისი მერხები სულ 840 ერთეული (კლასში 20ც), დაფა ტელევიზორი, მასწავლებლის მაგიდა მერხი, კარადა/თარო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შიდა აზომვითი ნახაზი; • ვიზუალური დათვალიერება; • ნასყიდობის დოკუმენტაცია; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ქუთაისში - სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, სადაც ტარდება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილები. სპორტის სახეობებია კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, აერობიკა. სკოლას გააჩნია შესაბამისი ინვენტარი სპორტის აღნიშნულ სახეობებში გაკვეთილების სრულყოფილად ჩასატარებლად. ბათუმში-სპორტული დარბაზი განთავსებულია სკოლის ეზოში მდებარე N02/1 შენობაში. დარბაზს აქვს ვაჟებისა და გოგონებისათვის გათვალიწინებული გასახდელები და საშხაპეები. ასევე სკოლის ეზოში გათვალისწინებულია კალათბურთის სათამაშო კუთხის მოწყობა. დარბაზის ფართიდან გამომდინარე შესაძლებელია პარალელურად 2 კლასისათვის ისე ჩატარდეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილები, რომ ერთმანეთს არ შეუშალონ ხელი ან ერთობლივი აქტივობები დაგეგმონ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შიდა აზომვითი ნახაზი; • სპორტული ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ორივე მისამართზე აქვს ტექნოლოგიურად სათანადოდ აღჭურვილი (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) STEM ლაბორატორიები, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მოახდინონ დაკვირვება და უშუალოდ ჩაერთონ ცდების მიმდინარეობის პროცესში. ასევე სკოლამ 2016 წელს შეიძინა პროგრამა „რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია“, რომელიც მასწავლებლებს ეხმარება, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენონ მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო მეთოდები და მათი დახმარებით, მოსწავლე, ინდივიდუალური ინტერესებისა და ასაკის გათვალისწინებით, პრაქტიკულ სამეცნიერო კვლევა-ძიების პროცესში ჩართონ. ინფორმაცია, რაც რეალური კვლევის ან ექსპერიმენტის დროს მუშავდება, ავტომატურად გადადის ციფრულ ფორმატში ისეთ პროგრამაში, რომელიც მის გარდასახვას — ვიზუალიზაციას აკეთებს. ლაბორატორია საშუალებას აძლევს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეს, პრაქტიკული რეალური ექსპერიმენტის დროს მიღებული მონაცემები ასახოს ვირტუალურ ლაბორატორიაში, გააანალიზოს შედეგები და გამოიტანოს სათანადო, მეცნიერულად არგუმენტირებული დასკვნები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ქუთაისი - სასწავლო და საგაკვეთილო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის სკოლა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის, წყლის და გათბობის უწყვეტი მიწოდებით. ცენტრალური გათბობის საშუალებად გამოიყენება ბუნებრივი აირი. საკლასო ოთახები არის ნათელი, სველი წერტილები განლაგებულია ყველა სართულზე, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ბათუმი - სკოლაში არის: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები ყველა სართულზე, ბუნებრივი განათება ყველა სასწავლო სივრცეში, გათბობის სისტემა. გათბობის ქვაბი ორივე ლოკაციაზე დამონტაჟებულია სასწავლო შენობის გარეთ შენობებში, სადაც ასევე არის სახანძრო აუზი და გენერატორი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კომუნალური გადახდის ქვითრები; • სკოლის აზომვითი გეგმა.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აერთიანებს 18600 წიგნს, აქედან ბათუმი-2051. წიგნადი ფონდი აღრიცხულია ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში, თითოეული წიგნი ანბანის და განყოფილების მიხედვით არის დახარისხებული. სკოლის ბიბლიოთეკაში ირიცხება სკოლის სახელმძღვანელოები, ქართული და უცხოური ლიტერატურა, სამეცნიერო და დამხმარე ლიტერატურა, პერიოდიკა და სხვა. ბიბლიოთეკა მუშაობს 09:00 საათიდან 17:00 საათამდე. ბიბლიოთეკას გააჩნია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი და ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკა მოიცავს სამკითხველო და კომპიუტერულ სივრცეებს. ქუთაისში ბიბლიოთეკას ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მე-8 საქალაქო ბიბლიოთეკასთან, რომელიც გულისხმობს ერთობლივად სხვადასხვა სახის საინფორმაციო, შემეცნებითი, საგანმანათლებლო და სასწავლო ღონისძიებათა ჩატარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საინვენტარო წიგნი; • სასაქონლო ზედნადებები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ქუთაისში- სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, სასადილო, ბიბლიოთეკა, სველი წერტილები. შესაძლებელია თავისუფალი გადაადგილება. სკოლას გააჩნია მე-2 სართულზე გადაადგილებისათვის ასაკეცი პანდუსები. ასევე ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას ჰყავს სპეციალური პედაგოგი და ფსიქოლოგი, რომლებიც ინდივიდუალურად მუშაობენ თითოეულ სსსმ მოსწავლესთან. <u>დირექტორის განცხადებით სკოლაში სასწავლო წლის დაწყებამდე დამონტაჟდება გარე ლიფტი, რაც სკოლას დაეხმარება ადაპტირებული გარემოს სრულყოფაში.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბათუმში- სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო ნებისმიერი საჭიროების მქონე მოსწავლისათვის. სკოლის შესასვლელი ადაპტირებულია, ნებისმიერ სართულზე შესაძლებელია ლიფტით გადაადგილება. სააქტო დარბაზში სცენაზე ასასვლელი ადაპტირებულია პანდუსით. ასევე ადაპტირებულია სველი წერტილი (თითოეულ სართულზე 2). სსსმ მოსწავლისთვის სკოლაში შექმნილია ყველა პირობა, რათა შესაძლებელი იყოს შენობაში თავისუფალად შეღწევა, ორიენტაცია და გადაადგილება, რაც გულისხმობს შეუზღუდავად წვდომას სკოლაში არსებულ რესურსებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ლიფტის შეძენისა და მონტაჟისთვის გადარიცხვის დამადასტურებელი ინვოისი; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში ორივე ლოკაციაზე ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორიები. სკოლა ფლობს -პერსონალური კომპიუტერი-55, ლეპტოპი-24. სკოლის კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში, სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორიები განკუთვნილია მოსწავლეებისთვის და პედაგოგებისთვის. ლაბორატორიებში მუშაობა შესაძლებელია როგორც MS Windows, ასევე iOS ოპერაციულ სისტემასთან. ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე სამაგიდე კომპიუტერებით (Desktop Computers). სკოლას გააჩნია უსადენო ინტერნეტი. სკოლა ფლობს: ინტერაქტიული დისპლეი-48 , მულტიფუნქციური პრინტერი-7, პროექტორი-14; 2 პროექტორის დაფა; პლაზმური ტელევიზორი-6 ; სკოლას აქვს ვებგვერდი http://www.schoolprogress.ge/, რომელზეც განთავსებულია ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ვებგვერდის განახლება ხდება რეგულარულად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ტექნოლოგიების გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• შესყიდვების დოკუმენტაცია ; • ვებ სივრცის ფლობის და ჰოსტინგის ხელშეკრულებები; • www.schoolprogress.ge.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ქუთაისში - სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მიზნით ცეცხლმაქრები განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებზე, გამოყენების წესის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ხელმისაწვდომ ადგილას. ბათუმში - ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა სკოლის შენობის სამშენებლო პროცესის დასკვნითი ეტაპი. ორივე შენობა აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სამსახური.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სამსახურთან; • ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ევაკუაციის გეგმა ორივე შენობაში განთავსებულია მასზე მონიშნული ადგილის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ბათუმში- სკოლას აქვს 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული და სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისი სამედიცინო ოთახი, რომელსაც მოემსახურება ექიმი და ექთანი. სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, მათ შორის პანდემიურ პერიოდში სამოქმედო გეგმა/ანგარიში. ქუთაისში-ვიზიტის პერიოდში სამედიცინო ოთახი, რომელსაც არ ჰქონდა ბუნებრივი განათება, მეორე სართულიდან გადავიდა პირველ სართულზე ბუნებრივი განათების მქონე, შესაბამისად აღჭურვილ ოთახში. სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე შეიძინა სამედიცინო შირმა სკოლის ორივე შენობისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულება მედპერსონალთან; • სასაქონლო ზედნადებები; • ექიმის სამოქმედო გეგმა/ანგარიში; • ვიზუალური დადასტურება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკოლას დაქირავებული ჰყავს დაცვის თანამშრომლები. სკოლის გარე და შიდა პერიმეტრს აკონტროლებს ვიდეოსათვალთვალო სისტემა. სკოლაში შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა. მორიგეობის განრიგი განთავსებულია სამასწავლებლოში და სკოლის ფოიეში. სკოლას ჰყავს უსაფრთხოების კოორდინატორები. წესრიგის დარღვევის შემთხვევაში გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხა აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. შემუშავებული, განათლების სამინისტროსთან შეთანხმებული და დამტკიცებულია საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი. დანართი 37-ის საფუძველზე შემუშავებულია კოვიდრეგულაციების დოკუმენტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• კოვიდრეგულაციების დოკუმენტები; • ხელშეკრულება უსაფრთხოების კოორდინატორებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის გარე და შიდა პერიმეტრს აკონტროლებს ვიდეოთვალი. უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. სკოლამ ქუთაისის ლოკაციაზე, ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა რეკომენდაციით, სასწავლო სივრცეებიდან განახორციელა 3 კამერის დემონტაჟი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვიზუალური დათვალიერება; • გასაუბრება სკოლის სამეთვალყურეო სისტემების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირებთან; • ნასყიდობის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც მოცემულია სკოლის პრიორიტეტები, სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის მექანიზმები, სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილებები და ვალდებულებები. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის სტრუქტურა თანამშრომელთა მიღების და დათხოვნის წესები. თანამშრომელთა, მოსწავლისა და მოსწავლის მშობლის კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები, დისციპლინური დარღვევები და სახდელები, მოსწავლის და სკოლის თანამშრომელთა წახალისების ფორმები, აკადემიური შეფასების სისტემა, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. სკოლის წესდებით რეგულირდება სკოლის მიზნები, ფუნქციები სკოლის სტრუქტურა და მართვის ორგანოები. <u>ვიზიტის პერიოდში შინაგანაწესში შევიდა ცვლილებები და მოვიდა შესაბამისობაში სკოლის სტრუქტურასა და მოქმედ კანონმდებლობასთან.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • 24.08.2022 ბრძანება N 02/123 შინაგანაწესში ცვლილების შესახებ; • სკოლის წესდება; • ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი; • საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება; პერსონალის შეფასების პოლიტიკა.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის განვითარებისთვის შექმნილია სკოლის 2022-2023 (ერთწლიანი) და 2022-2027 (ექვსწლიანი) სტრატეგიული სამოქმედო გეგმები, რომელიც აერთიანებს იმ ძირითად პრიორიტეტებს, რომლის შესრულება და მიღწევა სკოლას აუცილებლად მიაჩნია და რომელიც სკოლის მისიას ეხმიანება. სამოქმედო გეგმა ასევე გულისხმობს სკოლის ადამიანური და მატერიალური რესურსების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რაციონალურ გამოყენებას. სტრატეგიულ გეგმაში დეტალურადაა მიმოხილული სამომავლო გამოწვევები, შესაბამისი ნაბიჯები და გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლა პროგრესის სამომავლო მიზანია დააკმაყოფილოს არამარტო ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტი არამედ ამერიკული პროგრამების სწავლების სტანდარტებიც. 2022-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებია: 1. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, 2. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, 3. სკოლის ინფრასტრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, 4. ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა, 5. უსაფრთხო სასწავლო გარემო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების, ოქმების, შემოსული და გასული კორესპონდენციების და ყველა სხვა სახის დოკუმენტების აღრიცხვა. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლა აწარმოებს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების აღრიცხვის და რეგისტრაციის წიგნს, გასული და შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის სარეგისტრაციო წიგნს. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების წესი ; • ინდივიდუალურ- სამართლებრივი აქტების აღრიცხვის და რეგისტრაციის წიგნი; • კორესპონდენციების აღრიცხვის და რეგისტრაციის წიგნი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის სკოლას ჰყავს 204 თანამშრომელი. მათ შორის: გენერალური დირექტორი-1 აღმასრულებელი დირექტორი -1 ბათუმის ფილიალის სკოლის დირექტორი - 1 ბათუმის ფილიალის დირექტორის მოადგილე - 1 აღმასრულებელი მენეჯერი - 1 აკადემიური კონსულტანტი - 1 ხარისხის მართვის მიმართულების ხელმძღვანელი-1 ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი -1 ადამიანური რესურსების მენეჯერი -1 სპეციალისტი-1 ადმინისტრატორი -2 ადმინისტრაციული მენეჯერი -1 იურისტი -2 ფინანსური დირექტორი - 1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ფინანსური მენეჯერი -1 ბუღალტერი - 1 სოციალური და ციფრული კომიუნიკაციების მენეჯერი-1 სოციალური მედია მენეჯერი-1 პიარმენეჯერი -1 ტექნიკური მენეჯერი - 1 საინფორმაციო მენეჯერი - 1 ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახურის უფროსი - 1 ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახურის კოორდინატორი, ბათუმში -1 ბიზნეს განათლების პროგრამების მენეჯერი-1 მედიაწიგნიერების, ციფრული მოქალაქეობისა და მომავლის პროფესიების პროგრამების მენეჯერი-1 მოსწავლეთა თვითმმართველობისა და საგან "წიგნიერების" პროგრამების მენეჯერი;-1 ინტელექტუალური პროგრამების მენეჯერი-1 სკოლას ჰყავს 161 პედაგოგი, რომელთაგან 92 უფროსია, 13 წამყვანი, 1 მენტორი, 10 მასწავლებლობის მაძიებელი, 45 მოწვეული. სკოლას ასევე გამოცხადებული აქვს ვაკანსიები მასწავლებლის 11 პოზიციაზე სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით. ბათუმის ლოკაციაზე მასწავლებელთა საათობრივ ბადეში ჩანს, რომ რამდენიმე მასწავლებელს აქვს მაღალი საათობრივი დატვირთვა. მაგალითად, სპორტის მაძიებელ მასწავლებელს აქვს 36 სთ, დაწყებითი კლასების ერთერთ წამყვან მასწავლებელს - 32, მეორეს - 37 სთ, პირველი უცხოური ენის, ინგლისურის უფროს მასწავლებელს - 31 სთ, მათემატიკის უფროს მასწავლებელს 30 სთ. სკოლის გაკვეთილების ცხრილი ისეა გადანაწილებული, რომ მასწავლებლები ასწრებენ გაკვეთილების ჩატარებას, თუმცა დატვირთვა გადამეტებულია. <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია ბათუმის ლოკაციაზე მასწავლებლის საათობრივი დატვირთვის 25 სთ-მდე შემცირებასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციამ გასაუბრებისას განაცხადა, რომ მასწავლებელთა საათობრივ დატვირთვას ახალი 2022-2023 სასწავლო წლიდან შეამცირებს, რადგანაც რამდენიმე მასწავლებელმა დაადასტურა 2022 წელს საგნობრივი კომპეტენცია და ასევე, სკოლას გამოცხადებული აქვს</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	11 ვაკანსია სხვადასხვა საგნობრივი მიმართულების მასწავლებლის პოზიციაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამშრომელთა ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • საშტატო განრიგი; • eSchool-ის ბაზა; • 2021-2022 სასწავლო წლის საათობრივი ბადე; • 2022-2023 სასწავლო წლის საათობრივი ბადის პროექტი; • საგაკვეთილო ცხრილი; • ადმინისტრაციასთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**161** **ქუთაისი - 109** **ბათუმი - 52**
მოწვეული/მაძიებელი	**45/10** **ქუთაისი 28/6** **ბათუმი 17/4**
პრაქტიკოსი მასწავლებელი	**0**
უფროსი მასწავლებელი	**92** **ქუთაისი 65** **ბათუმი 27**
წამყვანი მასწავლებელი	**13** **ქუთაისი 9** **ბათუმი 4**
მენტორის სტატუსი	**1**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა მასწავლებელი ჩართულია „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“. პირად საქმეში წარმოდგენილი განათლებისა და კვალიფიკაციის დოკუმენტაცია შეესაბამება ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლაში მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. მასწავლებელთა პორტფოლიოები ორგანიზებულია და თითოეულ მასწავლებელზე ამომწურავ ინფორმაციას ქმნის. აქ წარმოდგენილია თითოეული მასწავლებლის ცნობები ნასამართლობის შესახებ, აგრეთვე, ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ, მასწავლებელთა სტატუსების ამსახველი დოკუმენტაცია, განსაკუთრებული დამსახურებები და ჯილდოები, სერტიფიკატები, ინფორმაცია წარმატებით განხორციელებული პროექტების შესახებ, კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • მასწავლებელთა პირადი საქმეები/დოკუმენტაცია; • მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • სკოლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი; • eSchool ბაზა. • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლის თანამშრომელი შეიძლება იყოს ქმედუნარიანი, 16 წლის ასაკს მიღწეული ფიზიკური პირი, რომელსაც უნარი შესწევს, თავისი შრომით (შესაბამისი სპეციალობითა და კვალიფიკაციით) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების სამეურნეო, აკადემიური ან სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებაში. სკოლის თანამშრომელები, ფუნქციებისა და ორგანიზაციასთან შრომითი ურთიერთობის ხასიათის მიხედვით, მიეკუთვნებიან ერთ-ერთს შემდეგი კატეგორიებიდან: ადმინისტრაციული პერსონალი ა) ტოპ მენეჯმენტი: გენერალური დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, ფილიალის დირექტორი; ბ) აღმასრულებელი მენეჯმენტი: დირექტორის მოადგილეები, სამსახურის უფროსები, მიმართულების ხელმძღვანელები, კათედრის ხელმძღვანელები და კლასის დამრიგებლები; გ) საოპერაციო რგოლი - ადმინისტრაციული პერსონალის თანამშრომლები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ პუნქტის „ა“და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კატეგორიებს. მასწავლებელთა პერსონალი დ) მასწავლებელი: მაძიებელი, უფროსი, წამყვანი, მენტორი მასწავლებლები; ე) მოწვეულ მასწავლებელი: მოწვეული მასწავლებლები. ასევე წარმოდგენილია კადრის საჭიროების დადგენის, თანამშრომლის შერჩევი, მასწავლებელთა პერსონალის შერჩევის, ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის პროცედურები. სკოლას მკაფიოდ აქვს წარმოდგენილი მასწავლებელთა, პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას შინაგანაწესში დეტალურად აქვს აღწერილი სკოლაში დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის წარმოშობის, ურთიერთობის პირობები, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და საბოლოო ანგარიშსწორება, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა. დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს სკოლის გენერალური დირექტორი. შეტყობინების მიღებიდან 3 კვირის ვადაში, გენერალური დირექტორი ღებულობს შესაბამის გადაწყვეტილებას და გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს. დასაქმებულის დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადაა ერთი წელი. დისციპლინური სახდელი შეიძლება ვადაზე ადრე იქნას მოხსნილი, თუ დასაქმებულმა არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა და თავი გამოიჩინა როგორც კეთილსინდისიერმა თანამშრომელმა. დღესასწაულებთან დაკავშირებით, მოტივაციის ამაღლების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის ან/და სხვა დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მასწავლებელთა განსაკუთრებული წარმატებები, მათთან შეთანხმებით, ქვეყნდება სკოლის სოციალურ გვერდზე. სკოლაში დასაქმებული შრომით ხელშეკრულებასთან ერთად ეცნობა სკოლის შინაგანაწესს და ადასტურებს ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის შინაგანაწესი; • შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის პერსონალის მართვის პოლიტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• პერსონალის შეფასების პოლიტიკა; • სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებები დანომრილია, აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში. ხელშეკრულების პირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები;
შეფასება:	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიზნით შექმნილია პროფესიული განვითარების გეგმა. პროფესიული განვითარების გეგმა მუშავდება და იქმნება ყოველწლიურად, პერსონალის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით. მოთხოვნილებების იდენტიფიკაცია ხდება წლის განმავლობაში, გაკვეთილებზე დასწრებების, თვითშეფასებების, სხვადასხვა კითხვარების გამოყენებით. სკოლა წაახალისებს პერსონალის მიერ გამოჩენილ ინიციატივას, იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე და გამოყოფს შესაბამის ბიუჯეტს. მასწავლებელთა შორის ურთიერთანამშრომლობის და გამოცდილების გაზიარების, წახალისებისა და უწყვეტი პროფესიული ზრდისათვის ეწყობა მასწავლებელთათვის ადგილზე ტრენინგი, ურთიერთშეფასებისა და ურთიერთსწავლებისათვის- სამოდელო გაკვეთილები, ინტეგრირებული გაკვეთილები, საგნობრივი კათედრების ერთობლივი ღონისძიებები, ურთიერთგაზიარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიზნით გაკვეთილზე დასწრებები და უკუკავშირები, კათედრებს შორის ინტეგრირებული პროექტები. მასწავლებლების შეფასებისა და შედეგების ანალიზისთვის გამოიყენება ELEOT (Effective Learning Environment Observation Tool - ეფექტურ სასწავლო გარემოზე დაკვირვების ფორმა) რუბრიკა. ELEOT ფორმა აფასებს საკლასო გარემოს ორგანიზებას და დაგეგმვას, კომუნიკაციას მასწავლებელს და მოსწავლეს შორის, რესურსების გამოყენების მეთოდებს და ა.შ. სემესტრის ბოლოს ხდება გაკვეთილზე დასწრებების შედეგების შეფასება და ანალიზი და შესაბამისად ტრენინგების დაგეგმვა. მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმები: მასწავლებელთა ტრენინგების ორგანიზება სკოლაში; აკრედიტებულ ტრენინგ პროგრამებში მონაწილეობის ორგანიზება; ურთიერთსწავლება, სკოლის წამყვანი და მენტორი მასწავლებლების მიერ თანამშრომელთათვის ტრენინგების ორგანიზება, სამოდელო გაკვეთილის ჩატარება, შეფასება და გამოცდილების გაზიარება, პედაგოგთა თანამშრომლობა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა, მასწავლებელთა შეფასება და თვითშეფასება სემესტრის და წლის ბოლოს. სკოლა მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის და მოტივაციის ამაღლებაზე, შესაბამისად ხშირად უფინანსებს კვალიფიკაციის კურსებს და ტრენინგებს, როგორც ქვეყნის შიგნით ისე უცხოეთში. მაგალითად, 2019 წელს სკოლა პროგრესის 12 თანამშრომელი იმყოფებოდა პოლონეთის ქ. პოზნანში პროფესიული განვითარების კურსებზე. სკოლა ხშირად იწვევს საგნობრივ ტრენერებსა და კურიკულუმის ექსპერტებს სკოლაში პედაგოგთათვის ტრენინგების ჩატარების მიზნით. სკოლას შექმნილი აქვს პედაგოგთა ელექტრონული პორტფოლიო, სადაც პედაგოგები ტვირთავენ დოკუმენტაციებს, აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ კოლეგების მიერ განთავსებულ დოკუმენტაციას და გაიზიარონ ერთმანეთის გამოცდილება. პედაგოგთა პორტფოლიო ფასდება სემესტრის და წლის ბოლოს. კრიტერიუმები წინასწარ ცნობილია პედაგოგებისთვის. პორტფოლიო შედგება 2 ნაწილისგან. პირველი ნაწილში ჩამოთვლილია ის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აქტივობები, რომელიც სავალდებულოდ შესასრულებელია პედაგოგთა საქმიანობაში და მეორე ნაწილი, სადაც თვითონ პედაგოგები ირჩევენ დამატებით აქტივობებს. შესაბამისად ყველა დამადასტურებელ დოკუმენტს ტვირთავენ პედაგოგთა პორტფოლიოში. ექსპერტები გავეცანით პედაგოგთა ელექტრონული პორტფოლიოებს, რომლებიც შედგება შემდეგი პუნქტებისგან: თანამშრომლობა კოლეგებთან, ისტ ტექნოლოგიების გამოყენება, შემაჯამებელი დავლებების ანალიზები, კომპლექსური დავალებები, თემატურ-კალენდარული გეგმები, მოსწავლეთა მიღწევები, კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ინდივიდუალური-სასწავლო გეგმები, გაკვეთილის გეგმები, სემესტრული და წლის ანგარიშები, ანალიზები, არაფორმალური, კლასგარეშე აქტივობები, ღონისძიების ამსახველი დოკუმენტები, ფოტო-მასალა, შექმნილი სასწავლო რესურსები. პედაგოგთა პორტფოლიოს შეფასებაში მონაწილეობენ კათედრის ხელმძღვანელები და დირექცია. საუკეთესო პოტრფოლიოს ავტორი პედაგოგისთვის/პედაგოგებისთვის სკოლას დაწესებული აქვს წამახალისებელი ჯილდოები. გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით ქართულ-ამერიკულმა სკოლა პროგრესმა ჩაატარა მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „სკოლის ციფრული მართვისა და დისტანციური სწავლების გამოწვევები და უპირატესობები“
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პერსონალის შეფასების პოლიტიკა; • პროფესიული განვითარების გეგმა; • პედაგოგთა ელექტრონული პორტფოლიო(ნიმუშები); • ელექტრონული პორტფოლიოს შეფასების სისტემა; • ELEOT-ის შედეგების ანალიზი; • ELEOT შეფასების ფორმა; • პედაგოგთა 360 გრადუსიანი შეფასების კითხვარი; • ახალი თანამშრომლის ადაპტაციის გზამკვლევი; ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მმართველი გუნდის განმარტებით, სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ სკოლაში შექმნილი კლიმატი და კულტურა არის ის საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიურ და მასწავლებლის პროფესიულ წარმატებას ან წარუმატებლობას. ამიტომაც სასკოლო საზოგადოება ცდილობს შექმნას ღირებულებების, ტრადიციების, ნორმების, შეხედულებების, ქცევის, ურთიერთდამოკიდებულების ისეთ სისტემა, რომელიც ხელს შუწყოს დადებითი სასკოლო კლიმატის, „ოჯახური კულტურის“ ჩამოყალიბებას, სადაც სკოლის თითოეული თანამშრომელი და მოსწავლე, თავს გრძნობს დაცულად, თავად ქმნის ურთიერთპატივისცემის, ანგარიშვალდებულების და თანამშრომლობით გარემოს და ამით აძლიერებს სკოლის პოზიტიურ კულტურას. სკოლის ხედვის მთავარი იდეაა -ყველა ბავშვი უნიკალურია, შეუძლია მიღწიოს წარმატებას და სკოლამ უნდა უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის ხარისხიანი განათლება. ამ მიზნით ის მოსწავლეები, რომელთაც აქვთ აკადემიური ჩამორჩენა იღებენ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას და უტარდებათ ინდივიდუალური მეცადინეობა იმ საგნებში, რომელიც მათ ვერ დაძლიეს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკოლის კულტურაში აკადემიური წესიერების დამკვიდრებას. პლაგიატი რომ ნორმად არ იქცეს, სკოლა ახალისებს იმ მოსწავლეებს, რომლებიც დამოუკიდებლად და კეთილსინდისიერად ახორციელებენ სასკოლო პროექტებს, კვლევას და გამოირჩევიან აკადემიური წარმატებით. წახალისების ფორმები- სიგელი, მადლობის წერილი, საჩუქარი, სტიპენდია (საზღვარგარეთ საზაფხულო სკოლაში სწავლა). ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში შექმნილია მოსწავლეთა მხარდამჭერი გუნდი რომელიც შედგება სკოლის დირექციისგან, ფსიქოლოგისგან და კლასის დამრიგებლებისგან. ეს ჯგუფი ეხმარება მოსწავლეებს უზრუნველყონ აკადემიური შედეგების გაუმჯობესება და პროგრესი. იმ მოსწავლეებს რომლებსაც სჭირდებათ დამატებითი დახმარება სკოლიდან შექმნილია საგნობრივი წრეობრივი მუშაობა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესაბამისად შედგენილია განრიგი, ასევე მოსწავლეებისათვის გათვალისწინებულია დამატებითი ინდივიდუალური მეცადინეობები. სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე, შესაბამისად დანერგა დამატებითი საგანი-„სოციალურ-ემოციური უნარები“, რომელიც ტარდება სადამრიგებლო საათზე დამრიგებლის და ფსიქოლოგის ერთობლივი დაგეგმვით. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და პროპაგანდისთვის სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მართვას სემინარებს, კონფერენციებს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან ერთად. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგნობრივი წრეები და კლუბები. სკოლას განსაკუთრებული მიღწევები აქვს არაფორმალური განათლების მიმართულებით. სკოლაში ფუნქციონირებს: წიგნიერების კლუბი (VII-XII კლასები) ინტელექტუალური კლუბი „რა? სად? როდის?“ (III-XI კლასები) დებატ. კლუბი (VII-XII კლასები) ბიზნეს კლუბი (VII-XII კლასები) STEM კლუბი (VII-XII კლასები) ეკო კლუბი (III-XI კლასები) რობოტექნიკის კლუბი(V-XII კლასები) სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს პროფორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის მხარდამჭერ სერვისს, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ხვდებიან პირად მრჩეველს და მასთან ერთად ეცნობიან და გეგმავენ მომავალ პროფესიას. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით, სასკოლო სასწავლო გეგმის, სადამრიგებლო პროგრამებისა და სადამრიგებლო ანგარიშების შესწავლით, ვიდეო და ფოტომასალის გაცნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მოსწავლეთა მხარდამჭერი გუნდის დებულება; • მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმა; • კლუბები და წრეების პროგრამები; • სასკოლო საზოგადოების ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ **სტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

(შევსების ადგილი) ქ. თბილისი

თარიღი 14.09.2022

გვერდების რაოდენობა 67 გვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.